

საქართველოს კანონი

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებისა და დამატებების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, №12, 1984 წელი, მუხ. 421) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება და დამატებები:

1. 118<sup>1</sup> მუხლის შენიშვნას დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4 პუნქტი:

„4. თუ საპატრულო პოლიციელის მიერ ადგილზე არ გამოიწერება საჯარიმო ქვითარი და ამ მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევა დაფიქსირებული იქნება ვიდუოფირზე ან/და ფოტოფირზე, მაშინ შესაბამისი ოდენობის ჯარიმის გადახდა დაეკისრება ავტოსატრანსპორტო საშუალების მესაკუთრეს, რომელსაც რეგისტრაციის ადგილის მიხედვით გადაეგზავნება საჯარიმო ქვითარი.

2. კოდექსის 118<sup>2</sup> მუხლის შენიშვნას დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4 პუნქტი:

„4. თუ საპატრულო პოლიციელის მიერ ადგილზე არ გამოიწერება საჯარიმო ქვითარი და ამ მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევა დაფიქსირებული იქნება ვიდუოფირზე ან/და ფოტოფირზე, მაშინ შესაბამისი ოდენობის ჯარიმის გადახდა დაეკისრება ავტოსატრანსპორტო საშუალების მესაკუთრეს, რომელსაც რეგისტრაციის ადგილის მიხედვით გადაეგზავნება საჯარიმო ქვითარი.

3. კოდექსის 118<sup>3</sup> მუხლის შენიშვნას დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 პუნქტი:

„3. თუ საპატრულო პოლიციელის მიერ ადგილზე არ გამოიწერება საჯარიმო ქვითარი და ამ მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევა დაფიქსირებული იქნება ვიდუოფირზე ან/და ფოტოფირზე, მაშინ შესაბამისი ოდენობის ჯარიმის გადახდა დაეკისრება ავტოსატრანსპორტო საშუალების მესაკუთრეს, რომელსაც რეგისტრაციის ადგილის მიხედვით გადაეგზავნება საჯარიმო ქვითარი.

4. კოდექსის 119-ე მუხლის შენიშვნას დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-8 პუნქტი:

„8. თუ საპატრულო პოლიციელის მიერ ადგილზე არ გამოიწერება საჯარიმო ქვითარი და ამ მუხლის მე-2 და მე-8 ნაწილებით გათვალისწინებული სამართალდარღვევა დაფიქსირებული იქნება ვიდუოფირზე ან/და ფოტოფირზე, მაშინ შესაბამისი ოდენობის ჯარიმის გადახდა დაეკისრება ავტოსატრანსპორტო საშუალების მესაკუთრეს, რომელსაც რეგისტრაციის ადგილის მიხედვით გადაეგზავნება საჯარიმო ქვითარი.



„2. ეს მონაცემები დადგინდება შემდეგი საშუალებებით: ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით, ადმინისტრაციულ პასუხისმგებაში მიცემული პირის ახსნა-განმარტებით, დაზარალებულის, მოწმის ჩვენებით, ექსპერტის დასკვნით, ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული გამოკვლევის (ტესტირების) შედეგებით, ვიდეოფირით ან ფოტოფირით, ნივთიერი მტკიცებულებით, ნივთისა და დოკუმენტის ამოღების ოქმით და სხვა დოკუმენტებით.“,

მუხლი 2.

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი